



ივანიშვილის ქაზინოები რიურ
კომპანიებთან

კანონის ყუთი გაიხსნა

„სამოქალაქო ინიციატივა დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევნისთვის – სამოქალაქო იდეა“ საქართველოში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც გლობალურ საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის მანდატი ემსახურება დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევანის რეალობად ქცევას, ყოველ მოქალაქემდე მიტანას და ინსტიტუციონალიზაციას.

დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევანი, ეს არის თავისუფალი, სამართლიანი, თანასწორობაზე დაფუძნებული სახელმწიფო, სადაც კანონის უზენაესობით შეიარაღებული მოქალაქეები უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობენ თავს.

„სამოქალაქო იდეა“ აქტიურად აკვირდება ჩინეთის მზარდ გავლენებს საქართველოში. ამ თვეში ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ანგარიში სახელწოდებით „ვინ განსაზღვრავს ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს დღის წესრიგს? ჩინეთის გავლენის ოპერაციები აკადემიაში, მედიასა & არასამთავრობო სექტორში: საქართველოს მაგალითი“, რომელიც აფასებს ჩინეთის კომუნისტური პარტიის გავლენის ოპერაციებს მედიაში, აკადემიასა და სამოქალაქო საზოგადოებაში. სამოქალაქო იდეა, ბოლო სამი წელია იკვლევს და აკვირდება ჩინეთის საქმიანობას საქართველოში, თუმცა კვლევა ასევე ეფუძნება სხვა ქვეყნებში მსგავსი პრაქტიკის შედარებითი ანალიზს. დღეს ჩინეთის საქმიანობა საქართველოში პირდაპირი, ხილული და მცხიერი საფრთხის შემცველი არ არის, თუმცა რესპექტაბელური და ავტორიტეტული ორგანიზაციების, ჩვენი პარტნიორი ქვეყნების უსაფრთხოების სამსახურების, ევროკავშირის მრავლობითი ორგანიზაციების კვლევების, რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების იგნორირება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კიდევ ერთი ნათელი მაგალითია მყარი საგარეო ორიენტირების მოშლისა და ქვეყნის განვითარების და გრძელვადიანი წარმატების შესახებ ბუნდოვანი ხედვის თაობაზე.

კვლევის ფარგლებში მიმოხილული კომპანიები..... 4

შესავალი 5

რას წარმოადგენს CEFC China Energy 6

CEFC საქართველოში: ფოთის თიზი გადაღის CEFC-ის ხელში 8

საპრივატიზებო პირობები და საინვესტიციო ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პუნქტები..... 8

ფოთის თიზის წილების მმართველი შპს ევროაზიური მენეჯმენტ ჯგუფი.. 12


2020 წლის სექტემბერში „სი ი ევ სი“-სა და სახელმწიფოს შორის გაფორმებულ ფოთის თიზის წილის ნასყიდობის ხელშეკრულებაში შესული ცვლილებები..... 14

2020 წლის 22 სექტემბერის სასამართლო გადაწყვეტილებები 15

დასკვნა 18

კვლევის ფარგლებში მიმოხილული კომპანიები

შესავალი



2018-2020 წლებში არასამთავრობო ორგანიზაცია “სამოქალაქო იდეა” ინტენსიურად აქვეყნებდა კვლევებს ჩინეთის კომპანიებთან ქართული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების კავშირების შესახებ. მათ შორის იყო, კვლევა სახელწოდებით - “ჩინეთის დახურულ ბიზნეს ჩემპიონატში ჩხარტიშვილი ლიდერობს”.

ჩვენი კვლევისა და მოძიებული მასალების ანალიზის შესაბამისად, სრულად ერთმნიშვნელოვანი გახდა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მრავალ სისხლის სამართლის დანაშაულში მნიშვნელოვანი კომპანიის CEFC China Energy-ის ინტერესებს საქართველოში, საკუთარი ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე, ყოფილი პრემიერი, ბიძინა ივანიშვილი და ედუარდ შევარდნაძის მთავრობის ვიცე-პრემიერი და ეკონომიკის მინისტრი ივანე ჩხარტიშვილი ლობივებდნენ.

ჩვენ მიერ, წლების განმავლობაში გამოქვეყნებულ ანგარიშებში წარმოდგენილი დასკვნები, სრულად დაადასტურა 2021 წლის სექტემბრის ბოლოს გამომძიებელ ჟურნალისტთა საერთაშორისო კონსორციუმის მიერ გამოქვეყნებულმა პანდორას დოკუმენტებმა, სადაც საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული Brightstone Finance Limited-ის კავშირები დოკუმენტალურად დადასტურებულია.

წინამდებარე ანგარიშიც, სწორედ, ჩვენს მიერ 2018-2020 წლებში გამოქვეყნებული კვლევების გაგრძელებაა. ჩვენ მოგიყვებით, როგორ გადასცა ხელისუფლების ორმა შტომ: სასამართლომ და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ობიექტი - ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, კრიმინალურ სკანდალებში გახვეულ, გაკოტრების პირას მყოფ ჩინურ კომპანია CEFC China Energy-ს და ამ უკანასკნელის გაკოტრების შემდეგ კი, კანონის გვერდის ავლით, როგორ მოაქცია იგი ბიძინა ივანიშვილისა და ივანე ჩხარტიშვილის შეუზღუდავი კონტროლის ქვეშ. სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, ერთადერთ ამოცანას ემსახურება - შეუნარჩუნოს ყოფილ პრემიერს ფოთის თიხის სრული კონტროლი და არ დაუშვას ქონების სახელმწიფოსთვის დაბრუნება.

ჩვენი წინა კვლევიდან შეგახსენებთ რამდენიმე მნიშვნელოვან პასაჟს, რაც ამ ისტორიის სრული სურათის დანახვაში დაგეხმარებათ.



რას წარმოადგენს CEFC China Energy¹

ინტერნეტის ღია და ხელმისაწვდომი წყაროებით ვიგებთ, რომ 2014-2016 წლებში CEFC China Energy ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ჩინური კომპანიაა, რომლის ქონებაც 41 მილიარდ დოლარად იყო შეფასებული. თავბრუდამხვევი მოკლევადიანი წარმატების პარალელურად, სულ მალე CEFC-ის “პორტფოლიოს” შეემატა კრიმინალური სკანდალები, სანქციები და ბოლოს [ჩინეთის უზენაესი სასამართლოს მიერ რეგულირებული გაკოტრებული კომპანიების სიაშიც დაიმკვიდრა სამუდამო ადგილი.](#)

2017 წლის 21 ნოემბერს [New York Times-ში \(NYT\) გამოქვეყნდა სტატია, რომელიც](#) CEFC-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირის პატრიკ ჰოს ნიუ იორკში დაპატიმრების, მის მიერ შექმნილი დანაშაულებრივი ქსელისა და კორუფციის ბრალდებით მიმდინარე სასამართლოს საქმის შესახებ იუწყებოდა. აქვე შეგახსენებთ, რომ სწორედ იმავე 2017 წელს, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, გაფორმდა ხელშეკრულებები CEFC-ისთვის ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის 75% წილის გადაცემის თაობაზე.

[NYT-ის მიხედვით](#), **პატრიკ ჰოს** ნიუ იორკში ჩასვლის მიზანი ჩინური კერძო კომპანიის სასარგებლოდ აფრიკელი მაღალი თანამდებობის პირების მოქრთამვა იყო, რაც შემდგომ პროკურორის მიერ წარდგენილი ბრალდებითაც დადასტურდა. აშშ-ს პროკურატურის ცნობით, CEFC China Energy ცდილობდა ჩაღსა და უგანდაში ნავთობზე უფლებების მოპოვებას. ამ ეტაპზე, [ბატონი ჰო პატიმრობაშია](#) და ბრალი ედება ფულის გათეთრების საერთაშორისო აქტებისა და უცხოელების კორუფციული მოქმედებების კანონის დარღვევისთვის.

გარდა პატრიკ ჰო-სა, კომპანიის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ბატონი **იუ ჟიანმინგი**, რომელიც საქართველოშიც იმყოფებოდა და ივანე ჩხარტიშვილთან ერთად მთავრობასთან მოლაპარაკებებს მართავდა, NYT-ის ინფორმაციით, გამოძიების ინტერესს წარმოადგენს და სავარაუდოდ ასევე პატიმრობაშია.

2018 წლის 27 მარტს, გავლენიანი გამოცემა Bloomberg-ი იუწყებოდა, რომ “პრობლემებში მყოფი ჩინური კონგლომერატის” მთელი ქონება დაბლოკილი, მისი თავმჯდომარე სამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემული, ხოლო თავად კომპანია სახელმწიფოს მმართველობაში გადასვლის მოლოდინშია. საბოლოოდ, 2020 წლის 24 აპრილს, გამოქვეყნდა CEFC-ის ოფიციალური გაკოტრების მაუწყებელი სიახლე, რომლის მიხედვითაც, როგორც თავად CEFC ისე მისი შვილობილი კომპანიებიც გაკოტრებულად გამოაცხადა მანხაის სასამართლომ.

¹ დაწვრილებით იხილეთ “სამოქალაქო იდეას” 2020 წლის 12 იანვრის კვლევა - ჩინეთის “დახურულ ბიზნეს ჩემპიონატში” ჩხარტიშვილი ლიდერობს“: <https://bit.ly/3iHenZk>



CEFC საქართველოში: ფოთის თიზი გადაღის CEFC-ის ხელში

2017 წლის 13 სექტემბერს გამოიცა [საქართველოს მთავრობის განკარგულება №1930](#) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ 75%-იანი წილის შპს „სი ი ეფ სი (ევრო-აზიური)-სათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „სი ი ეფ სი (ევრო-აზიური)“-ს შორის გასაფორმებელი შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ წილის ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ.

2017 წლის 29 დეკემბერს, სახელმწიფომ ფოთის თიზის 75% გადასცა CEFC-ის ფილიალს საქართველოში - შპს „სი ი ეფ სი“ (ევრო-აზიური)-ს, რის შედეგადაც სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა წილების 10%, ხოლო ძველი მესაკუთრის, რას ალ ხაიმის საკუთრებაში 15%.

საპრივატიზებო პირობები და საინვესტიციო ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პუნქტები

მთავრობის დადგენილებით განისაზღვრა ძირითადი საპრივატიზებო პირობები, რომელთა შესრულებაც დაევალია CEFC-ის, ფოთის თიზის წილების მიღების სანაცვლოდ:

- ☑ საპრივატიზებო თანხის (24 589 000 ლარი) გადახდა ხელშეკრულების ხელმოწერიდან 30 დღეში;
- ☑ ხელშეკრულებით განსაზღვრული აფილირებული პირ(ებ) ის ან მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით, ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარების მიზნით, არანაკლებ 150 000 000 (ას ორმოცდაათი მილიონი) აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

- არანაკლებ 50 000 000 (ორმოცდაათი მილიონი) აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია 2020 წლის 26 დეკემბრამდე²;
- ინვესტიციის დარჩენილი ოდენობა კი, 2028 წლის 26 დეკემბრამდე³.
- ☑ პრივატიზაციისპირობებითასევედადგენილიყო,რომშპს სი ი ეფ სი (ევრო-აზიური)-ს დამატებით (საპრივატიზებო თანხის გადახდის დადასტურებიდან 10 დღის ვადაში) უნდა წარედგინა 6 000 000 (ექვსი მილიონი) აშშ დოლარის ღირებულების საბანკო გარანტია, რომლითაც იგი უზრუნველყოფდა საპრივატიზებო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას.⁴

წილის ნასყიდობის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები:

- ☑ საპრივატიზებო პირობების შესრულებამდე ფოთის თიზზე „სი ი ეფ სი“-ს გააჩნია მხოლოდ პირობადებული საკუთრება, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ პირობები სრულად არ შეასრულა მისი საკუთრების უფლება რეესტრში გაუქმდება, მაგრამ თუ შეასრულა მაშინ უპირობო საკუთრებას მიიღებს იმ ვადით, რა ვადითაცაა ეს თიზი შექმნილი (99 წელი).
- ☑ ვალდებულებების სრულად შესრულების შემთხვევაში, შპს „სი ი ეფ სი“ (ევრო-აზიური) 2109 წლამდე უპირობოდ შეძლებდა ფოთის თიზის მართვას, ანუ მას სახელმწიფოს წინაშე აღარ ექნება არანაირი ვალდებულება რაიმე სახის ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებით.⁵

2 ხელშეკრულების შესაბამისად, ინვესტიცია უნდა განხორციელებულიყო საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულების შესრულების თაობაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ წერილობითი დადასტურების გაცემიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში; მაშასადამე, აღნიშნული ვალდებულება უნდა შესრულებულიყო 2020 წლის 26 დეკემბრამდე, ვინაიდან, საჯარო რეესტრში არსებული დოკუმენტების შესაბამისად, სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ(გამყიდველმა) 2017 წლის 26 დეკემბერს გაუგზავნა დასტური შპს სი ი ეფ სი (ევრო-აზიური)-ს (მყიდველს) წერილობითი დასტური საპრივატიზებო თანხის (24 589 000 ლარი) გადახდასთან დაკავშირებით

3 ხელშეკრულების შესაბამისად, ინვესტიციის მეორე ნაწილი უნდა განხორციელებულიყო საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულების შესრულების თაობაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ წერილობითი დადასტურების გაცემიდან 11 (თერთმეტი) წლის განმავლობაში, ანუ 2028 წლის 28 დეკემბრამდე

4 იხილეთ შპს სი ი ეფ სი (ევრო-აზიური)-სა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შორის გაფორმებული წილის ნასყიდობის ხელშეკრულების 6.2 მუხლი: https://drive.google.com/file/d/15u_7tf4-8Ra3MdfjOm2aQMBDXITNBFA/view?usp=sharing

5 საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის დადგენილება №72-ის "ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ" პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის (შემდგომში – ფოთის თიზი), ფუნქციონირების ვადად განისაზღვრა 99 წელი, ვადის ათვლა დაიწყება 2010 წლის 15 ნოემბრიდან (იხ.: კონსოლიდირებული ვერსია <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5068?publication=0> [უკანასკნელად გადამოწმდა 07.04.2021] თიზის ვადის ამოწურვა კი მისი ლიკვიდაციის საფუძველია (იხ. <https://www.rs.ge/LegalEntityCustomsControlArea?cat=2&tab=1>) რაც იმას ნიშნავს რომ წილზე საკუთრების უფლებაც ამ ვადის

☑ სახელმწიფოს წინასწარი თანხმობით „სი ი ეფ სი“-ს შეუძლია წილი გირავნობით დატვირთოს, ხოლო როცა მას უპირობო საკუთრება ექნება წილზე, სახელმწიფოს თანხმობა აღარ დასჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს კონტროლის გარეშე შესაძლოა CEFC-ის ნებისმიერი სხვა კომპანია ჩაენაცვლოს და ხელში ჩაიგდოს ფოთის თიზის წილები.

☑ მსგავსად გირავნობისა, „სი ი ეფ სი“ უფლებამოსილია სახელმწიფოს წინასწარი თანხმობით, გაყიდოს კიდევ წილები, ხოლო უპირობო საკუთრებაში გადასვლის შემდეგ, ეს უფლებამოსილება უკვე სახელმწიფოს წინასწარი ნებართვის გარეშე ექნება.

ხელშეკრულების, ფოთის თიზის წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის ანალიზის შედეგად, ცხადი ხდება, რომ ფოთის თიზის წილების უპირობო საკუთრებაში გადასვლის შემდეგ, „სი ი ეფ სი“-ს ექნება შესაძლებლობა გაასხვისოს, იპოთეკით დატვირთოს ფოთის თიზის ტერიტორიაზე არსებული მიწები.⁶

ამოწურვის შემდეგ უქმდება. გარდა ამისა, ხელშეკრულებაში არ არის გაწერილი ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მაშასადამე, ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულად შესრულებამდე. ვინაიდან, ამ ხელშეკრულების საგანი ფოთის თიზზე პირობითი საკუთრების გადაცემა, როგორც კი გამყიდველი შეასრულებს საპრივატიზებო პირობებით განსაზღვრულ ვალდებულებებს სრულად და ჯეროვნად, ხელშეკრულების მოქმედების ვადაც წყდება და დარჩენილი 81 წლის განმავლობაში მყიდველი უპირობოდ შეძლებს თავისი წილის მართვას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს ფოთის ინდუსტრიული ზონის წესდების პირველი მუხლის შესაბამისად, კომპანია არსებობს განუსაზღვრელი ვადით.

6 ხელშეკრულების დანართი N1-ის შესაბამისად, ფოთის თიზის საკუთრებაში შედის 304.6 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. შპს ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის წესდების 2016 წლის რედაქციის, მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია, რომ პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებას იღებს უძრავი ქონების გასხვისებასთან დაკავშირებითაც. ამავე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების შესაბამისად პარტნიორთა კრება გადაწყვეტილება უნარიანია, თუ მას ესწრებიან ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორები, ხოლო კრება გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე პარტნიორების ხმების უმრავლესობით. ამასთან წესდება არ ითვალისწინებით საგამონაკლისო დათქმებს, რომელთა მიხედვითაც გარკვეულ საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად ხმების სხვაგვარი ოდენობაა საჭირო. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს გამყიდველის თანხმობას ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით (ხელშეკრულების 5.5-5.14 მუხლები) მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, თუმცა ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი იმაზე თუ, რა ხდება მას შემდეგ რაც მხარეები ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს შეასრულებენ და ხელშეკრულების 4.1.5 მუხლის შესაბამისად, მყიდველი ფოთის თიზის 75%-ის უპირობო მესაკუთრე გახდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მყიდველს გამყიდველის თანხმობის გარეშე შეეძლება: ფოთის თიზის 75%-იანი წილის გირავნობით დატვირთვა (5.5 მუხლი), ამ წილის როგორც სრულად (5.6) ისე ნაწილობრივ (5.7) გასხვისება, ფოთის თიზის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება (5.9), ამ ქონების იპოთეკით დატვირთვა (5.10), ფოთის თიზის რეორგანიზაციასთან (5.11) და ლიკვიდაციასთან (5.12) დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება. ფოთის თიზის ტერიტორიის უდიდესი ნაწილის გასხვისებას არც საქართველოს კანონმდებლობა დააბრკოლებს, ვინაიდან 2008 წლის 3 ივნისის საქართველოს მთავრობის დადგენილება №131-ის „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის, მოწყობისა და ფუნქციონირების წესების დამტკიცების შესახებ“ მე-7 მუხლის მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად, „(16.) თიზის მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის მესაკუთრის შეცვლის შემთხვევაში, თუ თიზის მიწის ნაკვეთზე ან მის ნაწილზე არ უქმდება თიზის სტატუსი, ორგანიზატორს ევალება მხოლოდ წერილობით აცნობოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და თიზის საწარმოებს მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის გასხვისების ფაქტისა და ახალი მესაკუთრის შესახებ. (17.) თიზის მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის მესაკუთრის შეცვლისას, იმ შემთხვევაში, თუ თიზის სტატუსი არ უქმდება, ორგანიზატორს (ან ახალ მესაკუთრეს) მოეთხოვება, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარუდგინოს ახალი მესაკუთრის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა მოცემულ მიწის ნაკვეთზე თიზის არსებობის შესახებ. ხოლო თიზების მარეგულირებელი სხვა კანონმდებლობა მათ შორის, საქართველოს კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი, არ აწესებს განსხვავებულ მოწესრიგებას, რომელიც CEFC-ის დააბრკოლებდა ფოთის თიზის ქონების გასხვისებაში.

საპრივატიზებო პირობა	ხელშეკრულებით გათვალისწინებული, ვალდებულების შესრულების ვადა	შესასრულებელი ვალდებულების მიმდინარე სტატუსი
საპრივატიზებო თანხის (24 589 000 ლარი) გადახდა	ხელშეკრულების ხელმოწერიდან 30 დღეში	შესრულებულია ⁷
ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარების მიზნით, არანაკლებ 50 000 000 (ორმოცდაათი მილიონი) აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება	26.12.2020	2020 წლის 18 სექტემბრის ცვლილებების შესაბამისად, ვალდებულების შესრულების თარიღმა გადაიწია 2024 წლის 26 დეკემბრამდე
ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარების მიზნით, არანაკლებ 100 000 000 (ასი მილიონი) აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება	26.12.2028	2020 წლის 18 სექტემბრის ცვლილებების შესაბამისად, ვალდებულების შესრულების თარიღად განისაზღვრა 2028 წლის 12 დეკემბერი
აღნიშნული ვალდებულება ხელშეკრულებას დაემატა 2020 წლის 18 სექტემბერს ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, მყიდველს დაევალა ფოთის თიზისთვის 3 000 000 (სამი მილიონი) აშშ დოლარის ფოთის თიზისთვის საკუთრებაში გადაცემა	18.12.2020	ხელშეკრულების ფარგლებში, შპს სი ი ეფ სი (ევრო-აზიური)-ს მიერ ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების მიზნით, „სამოქალაქო იდეამ“ მიმართა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, თუმცა უწყებამ უარი განაცხადა ამგვარი ინფორმაციის გამჟღავნებაზე, ხელშეკრულების კონფიდენციალურობიდან გამომდინარე
შპს „სი ი ეფ სი“ (ევრო-აზიური)-ს უნდა წარედგინა დამატებით 6 000 000 (ექვსი მილიონი) აშშ დოლარის ღირებულების საბანკო გარანტია, რომლითაც იგი უზრუნველყოფდა საპრივატიზებო პირობების შესრულებლობის შემთხვევაში დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას	05.01.2020	როგორც ხელშეკრულების ცვლილებებიდან ჩანს, 2019 წლის 22 დეკემბერს მყიდველმა წარადგინა სს „საქართველო ბანკის“ მიერ გაცემული უპირობო და გამოუხმობადი გარანტია, თუმცა ხელშეკრულების ახალი რედაქციიდან არ ჩანს საბანკო გარანტიის ოდენობა.

7 ხელშეკრულების თანახმად, 75% წილის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საფუძველი სწორედ “ხელშეკრულების დასრულება” ანუ მყიდველის მიერ საპრივატიზებო თანხის სრულად გადახდა და გამყიდველის მიერ აღნიშნული ფაქტის დადასტურებაა. ვინაიდან 2019 წელს საჯარო რეესტრში შპს ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის 75%-იანი წილის მესაკუთრედ შპს სი ი ეფ სი დარეგისტრირდა, აღნიშნული იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ მყიდველმა საპრივატიზებო თანხა გადაიხადა.



ფოთის თიზის წილების მმართველი შპს ევროაზიური მენეჯმენტ ჯგუფი

2018 წლის 22 ივნისიდან ფოთის თიზის 75% წილის მმართველად განისაზღვრა შპს ევროაზიური მენეჯმენტ ჯგუფი, რომლის დირექტორებიც **ჟიანვეი ფანი და რატი ღვამბერია** არიან, ხოლო **სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - ივანე ჩხარტიშვილი** (აღნიშნულ კომპანიების პარტნიორებსა და ხელმძღვანელებზე [იხ.დანართი N1](#)).

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 2019 წლის იანვრიდან სექტემბრამდე [ამავე კომპანიაში მუშაობდა ამჟამად მოქმედი პრემიერ-მინისტრი - ირაკლი ღარიბაშვილი](#) კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს მრჩეველის პოზიციაზე, სადაც 8 თვის მანძილზე მის მიერ ხელზე აღებული ანაზღაურება 240 776,93 ლარს შეადგენს.⁸

როგორც ჩვენი ანგარიშის პირველივე გვერდზე განთავსებულ სქემაში იხილეთ, „ევროაზიური მენეჯმენტ ჯგუფის“ 50% წილის მფლობელი „ჩაინა ინთერნეიშენალ გრუპ კორპორეიშენ ლიმიტედა“, ხოლო 50%-ს შპს „ევრაზიან ინვესტი“ ფლობს. თავის მხრივ, ამ უკანასკნელის დამფუძნებელი კომპანიები დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებული „ბრაითსთოუნ ფაინანს ლიმიტიდ“ (51%) და ასევე ბრიტანეთში რეგისტრირებული „აკლიტონ ქომმერს კორპ-ი“ (49%) არიან.



8 იხილეთ ირაკლი ღარიბაშვილის ქონებრივი დეკლარაცია: <https://bit.ly/3AnAFoK>

აღნიშნული კომპანიები რეგისტრირებულნი არიან ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების კანონმდებლობით, შესაბამისად, მათზე ვრცელდება კონფიდენციალურობის დაცვის მაღალი სტანდარტი, თუმცა პანდორას დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ, ნათელი გახდა რომ „ბრაითსთოუნ ფაინანს ლიმიტიდ“-ის მესაკუთრე საქართველოს ყოფილი პრემიერი ბატონი ბიძინა ივანიშვილია. ასევე, საქართველოს სამეწარმეო რეესტრის ბაზაზე დაყრდნობით დგინდება, რომ თავდაპირველად „ევრაზიან ინვესტის“ დირექტორი ბიძინა ივანიშვილის „თანაინვესტირების ფონდის“ ხელმძღვანელი გიორგი ბაჩიაშვილი იყო.

კომპანიებს შორის ბუნებრივია აქტივების მართვის ხელშეკრულებაც გაფორმდა, სადაც ბევრ საინტერესო დებულებას ვხვდებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მმართველი კომპანიის, ანუ ბიძინა ივანიშვილის საკუთრებაში არსებული კომპანიის სრული პრივილეგიებით. სწორედ ამ ხელშეკრულებით დგინდება, რომ CEFC-ის მიერ წილის დაკარგვის შემთხვევაშიც კი, მაგალითად გაყიდვა, მმართველ კომპანიას მაინც უნარჩუნდება მმართველის უფლებები, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, მაგალითად სახელმწიფოს საკუთრებაში დაბრუნების დროს, მმართველმა უნდა მიიღოს შესაბამისი კომპენსაცია, რაც განისაზღვრება დარჩენილი წილების მანძილზე მისაღები შემოსავლის საშუალო ოდენობით. იმის გათვალისწინებით, რომ CEFC ოფიციალურად გაკოტრებულია და აღარ არსებობს, რაც შეუძლებელს ხდის მისგან რაიმე კომპენსაციის მიღებას, ქართულმა სასამართლომ უბრალოდ იგნორირება გაუკეთა ამ ფაქტს, CEFC-ის შესახებ, როგორც მოქმედი კომპანიის თაობაზე ისე იმსჯელა და ბატონი ივანიშვილის საკუთრებაში არსებული კომპანია ფოთის თიზის ერთპიროვნულ მმართველად დატოვა.

აღნიშნული ფაქტების ანალიზი ცხადყოფს, რომ 2017 წელს პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა, [მთავრობის №1930 განკარგულებით](#), ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა მართალია [ჩინეთის სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კომპანია CEFC-ს](#) გადასცა, თუმცა შეუძლებელია მას არ სცოდნოდა რომ კომპანია რეალურად ყოფილი პრემიერის, ბატონი ივანიშვილისა და ბატონი ჩხარტიშვილის საკუთრებას წარმოადგენდა. კიდევ უფრო საეჭვოა ამის შესახებ არ სცოდნოდა პრემიერ გიორგი გახარიას, რომელმაც 2020 წელს, როგორც ჩვენი ანგარიშის შემდგომ თავებში იხილავთ, 24 ივლისის N1347 განკარგულებით, ყველა შეუსრულებელი ვალდებულება ჩამოაწერა მათ და სრული კონტროლი მოაპოვებინა ფოთის თიზ-ზე.

2020 წლის სექტემბერში „სი ი ეფ სი“-სა და სახელმწიფოს შორის გაფორმებულ ფოთის თიზის წილის ნასყიდობის ხელშეკრულებაში შესული ცვლილებები

2020 წლის 18 სექტემბერს, რატი ღვამბერიამ შპს „ფოთის ინდუსტრიული ზონის“ რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანა მოითხოვა, რასაც თან დაურთო სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „სი-ი-ეფ-სი“ ევროაზიურს შორის გაფორმებული ნასყიდობის [ხელშეკრულების ცვლილებები](#). აღნიშნულ ცვლილებას კი, საფუძვლად მიეთითა მთავრობის 2020 წლის 24 ივლისის N1347 განკარგულება, რომელიც საერთოდ არ იძებნება საკანონმდებლო მაცნეზე და რომელსაც, ჩვენი მოთხოვნის მიუხედავად, პრემიერის ადმინისტრაცია კანონის სრული იგნორირებით ასაიდუმლოებს.

ცვლილებების შესაბამისად კი, შეცვლილია [ხელშეკრულების](#) არსებითი პირობა. კერძოდ, 150 000 000 აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელების ვადები. [ხელშეკრულების](#) თავდაპირველი რედაქციით თუ 50 000 000 აშშ დოლარის ინვესტიცია 2020 წლის ბოლოსთვის უნდა განხორციელებულიყო⁹, ამ ვადამ 4 წლით გადაიწია და ნაცვლად „დასრულების თარიღიდან“ 3 წლის, შპს „სი-ი-ეფ-სი“ ევროაზიურს მისი განხორციელება „დასრულების თარიღიდან“ 7 წელში დაევალა. ხოლო დანარჩენი თანხის კი, 2028 წლის 12 დეკემბრამდე.

ეჭვგარეშეა, რომ აღნიშნული ცვლილების განხორციელება გამოწვეულია შპს „სი-ი-ეფ-სი“ ევროაზიურის მიერ [ხელშეკრულების](#) თავდაპირველი საინვესტიციო პირობის დარღვევით, ვინაიდან კომპანიამ ვერ შეძლო განხორციელებინა 50 000 000 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია 2020 წლისთვის, რის გამოც უნდა დაკისრებოდა პირგასამტეხლო (მუხლი 7.3), დარჩენილი თანხის 0.1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.¹⁰

9 იხილეთ ხელშეკრულების 4.1.2 მუხლი

10 საინტერესოა შედარება ფოთის თიზის წინა მუხატრონის შემთხვევასთან. 2016 წლის 16 სექტემბერს მთავრობის N1901 განკარგულებით „საქართველოს მთავრობას, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, შპს „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯიას“, შპს „რაკია საქართველოს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონასა და რას ალ ხაიმის საინვესტიციო ორგანოს შორის გასაფორმებელი „[შენწყვეტისა და გადაცემის](#)“ ხელშეკრულებისა და შპს „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯიასა“ და რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტის საქმიანობის ხელშესაწყობად“ გაიწერა მთელი რიგი დონისძიებები, რომელთა მთავარი მიზანი იყო ფოთის თიზის 85%-იანი და სს „ფოთის აეროპორტის“ 98.26%-ის სახელმწიფოსათვის დაბრუნების სანაცვლოდ შპს „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯიას“ ყველა დაკისრებული ვალდებულებისგან გათავისუფლება. ბუნებრივია, ანალოგიური მექანიზმის

ცვლილებები განხორციელდა საბანკო გარანტიასთან დაკავშირებითაც. როგორც ზემოთ ვიხილეთ, ხელშეკრულების 6.2 მუხლის შესაბამისად, მყიდველი ვალდებული იყო, დასრულების თარიღიდან 10 დღის ვადაში - 6 000 000 (ექვსი მილიონი) აშშ დოლარის გარანტია წარედგინა. [ახალი რედაქციით](#) კი 6.2 მუხლში საერთოდ აღარ არის განსაზღვრული მეორე გარანტიის (რომლის მიზანიც დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის უზრუნველყოფაა) ოდენობა. ნახსენებია მხოლოდ 2017 წელს საქართველოს ბანკის მიერ გაცემული მეორე საბანკო გარანტია, რომლის რეალური ღირებულებაც ჩვენთვის უცნობია.

2020 წლის სექტემბერის სასამართლო გადაწყვეტილებები

2020 წლის 23 სექტემბრიდან „სი ი ეფ სი“ (ევროაზიური)-ის დირექტორების სიას სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაემატა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ევრო-აზიური მენეჯმენტ ჯგუფი“¹¹.

2020 წლის 7 სექტემბერს, შპს „ევრაზიან ინვესტმა“, რომელიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ევრო-აზიური მენეჯმენტ ჯგუფის“ (ს/კ 404553050) 50% წილის მფლობელია მიმართა სასამართლოს „ევრო-აზიური მენეჯმენტ ჯგუფის“ ერთ-ერთი დირექტორის, ჟიანვეი ფანის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

სარჩელთან ერთად, მოსარჩელემ მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების სახით, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე შპს „ევროაზიური მენეჯმენტ ჯგუფის“ წესდებით გათვალისწინებული დირექტორების ყველა უფლებამოსილების განხორციელება ერთპიროვნულად რატი ღვამბერიას გადასცემოდა. ამის მიზნად კი, მოსარჩელემ ჟიანვეი ფანის მიერ მოვალეობის შესრულებაზე უარი და მასთან კომუნიკაციის შეუძლებლობა დაასახელა.

გამოყენებაზე საქართველოს მთავრობას არ უფიქრია როდესაც საქმე შპს „სი-ი-ეფ-სი“ ევროაზიურის მიერ ანალოგიურად ვალდებულებების შეუსრულებლობასა და საინვესტიციო პირობების დარღვევას შეეხებოდა. 11 იხილეთ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 15.09.2020 წლის განჩინებით (საქმე N2/18865-20) მინიჭებული უფლებამოსილება

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ზაალ მარუაშვილმა დააკმაყოფილა განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, შემდეგი დასაბუთებით:

- ქიანვეი ფანის არამართლზომიერი და ბრალეული ქმედებით საწარმოს ადგება ზიანი. იგი თავს არიდებს მოვალეობის შესრულებას, ხოლო საწარმოს წესდების შესაბამისად, ორივე დირექტორმა ერთობლივად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.
- მოსამართლე განჩინების სამართლებრივ დასაბუთებაში ხშირად ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის ტვირთი მართალია მოსარჩელეს ეკისრება, თუმცა არ არის აუცილებელი, რომ ფაქტი უტყუარად დადასტურდეს, საკმარისია შეიქმნას ალბათობის მაღალი ხარისხი, რომ განცხადების დაკმაყოფილებისთვის აუცილებელი გარემოებები სახეზეა, თუმცა მოსამართლე განჩინებაში ვერ ასაბუთებს საიდან, რის საფუძველზე შეექმნა ალბათობის მაღალი ხარისხი, რა სახის მტკიცებულება წარმოადგინა მოსარჩელემ?

ამასობაში უტყუარი ფაქტი არის ის, რომ მოსამართლე ვერ ასაბუთებს სარჩელის დაკმაყოფილების აუცილებლობას და წინააღმდეგობრივი არგუმენტებით ხელმძღვანელობს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ როგორც ჩანს მთავარ პრობლემაზე ყურადღების გამახვილება აქვს აკრძალული. მთავარი პრობლემა ის კი არ არის. რომ ჩინელი დირექტორი თავს არიდებს მისი მოვალეობის შესრულებას, არამედ ის, რომ ჩინური კომპანია რომლისთვისაც მთავრობის აქტით აღნიშნული ქონების გადაცემა განხორციელდა უბრალოდ აღარ არსებობს, და შესაბამისად, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება ქონების სახელმწიფოსთვის დაბრუნება იქნებოდა.

ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, 2020 წლის 14 სექტემბერს, შპს „ევრო - აზიური მენეჯმენტ ჯგუფმა“ საქალაქო სასამართლოს მიმართა მოპასუხე „სი ი ეფ სი“-ს თანხის დაკისრების მოთხოვნით. თუმცა, 15 სექტემბერს სარჩელი დააზუსტა და მოითხოვეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება - „სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე შპს „ევრო-აზიურმენეჯმენტ ჯგუფს“ მიეცეს სრული უფლებამოსილება, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 სექტემბრის N1930 განკარგულებით და 2018 წლის 22 ივნისის

აქტივების მართვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად შპს „სი ი ეფ სი (ევრო აზიური)-ს“ სახელით მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება კომპანიის წერილობითი თანხმობის გარეშე და **განკარგოს**

- ☑ აქტივების მართვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოპასუხის ქონება, ან/და
 - ☑ მოპასუხის მიერ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ წარდგენილი საბანკო გარანტია, ან/და
 - ☑ საბანკო გარანტიისთვის წარდგენილი თანხა სრულად ან ნაწილობრივ,
 - ☑ გამოიყენოს ახალი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარსადგენად ნებისმიერი ვადითა და ნებისმიერი მიზნით/დანაშნულებით; ან/და
 - ☑ წარადგინოს ნებისმიერი შეთავაზება/ განცხადება/ შუამდგომლობა/ წინადადება „ხელშეკრულებისა“ ან/და განკარგულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით; ან/და
 - ☑ ხელი მოაწეროს შპს „სი ი ეფ სი (ევრო-აზიური)-ს“ სახელით ნებისმიერ დოკუმენტს ადმინისტრაციულ ორგანოებთან, ნებისმიერ კომერციულ ბანკთან ან/და ნებისმიერ სხვა მესამე მხარესთან.
- მოსარჩელემ ასევე მოითხოვა სხვა სახის უფლებამოსილებებიც, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შპს „ფოთის თავისუფალი ზონის“ ადმინისტრირებას და ორგანიზებას.

მოსამართლე თამარ ბურჯანაძემ მოპასუხის მოთხოვნა ისე დააკმაყოფილა, რომ განჩინებაში არც არანაირი სამართლებრივი და არც ფაქტობრივი დასაბუთება არ მიუთითებია.

ამ განჩინებით, შპს „ევრო-აზიური მენეჯმენტ ჯგუფს“, რომლის ერთპიროვნული დირექტორიც ზემოთ განხილული განჩინებით რატი დვამბერიია, სამეთვალყურეო საბჭოს თამჯდომარე ვანო ჩხარტიშვილი, ხოლო მესაკუთრე ბიძინა ივანიშვილი ფაქტობრივად, მთლიანად გადაეცა ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მართვის სადავეები.



დასკვნა

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ იმ პირობებში, როდესაც შპს „სი ი ეფ სი (ევრო-აზიური)-ს“ 100% წილის მფლობელი „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება CEFC ჰონგ კონგის საერთაშორისო ჰოლდინგ კომპანია, (1641338 / ჩინეთი/)“ 2020 წელს ოფიციალურად გადახდისუნაროდ გამოცხადდა, სასამართლომ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მისი უფლებამოსილებები ბიძინა ივანიშვილის საკუთრებასა და ვანო ჩხარტიშვილის მართველობის სფეროში არსებულ კომპანიას გადასცა.

აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებები კი იმის ფონზე იქნა მიღებული, რომ შპს „სი ი ეფ სი (ევრო-აზიური)-ის“ 100% წილის მფლობელი მშობელი - შპს CEFC საერთაშორისო ჰოლდინგ კომპანია ჯერ კიდევ 2020 წლის მარტში სრულად [გაკოტრებულად](#) გამოცხადდა.

საინტერესოა, როგორ წარმოედგინათ ან სასამართლოს ან იმდროინდელ პრემიერ განხარისას შპს „სი ი ეფ სი (ევრო-აზიური)-ის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება? ხელისუფლების ორმა შტომ - აღმასრულებელმა ხელისუფლებამ და სასამართლომ საკანონმდებლო ჩარჩოს სრული უგულებელყოფით ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა გადასცა კომპანიას, რომლის ერთადერთი - 100% წილის მფლობელი პარტნიორიც გადახდისუნაროა და არათუ ახალ ინვესტიციებს უკვე არსებული ვალდებულებების შესრულებასაც კი ვერ ახერხებს.

კრიტიკას ვერ უძლებს ვერც მოსამართლე მარუაშვილისა და ვერც მოსამართლე ბურჯანაძის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, რაც აყალიბებს გონივრულ ეჭვს, რომ ისინი დაფუძნებულია არა კანონმდებლობასა და მათ შინაგან რწმენაზე, არამედ, პრემიერ განხარისას მიერ მთავრობის განკარგულებით მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე, რომელმაც ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას განაჩენი სასამართლომდე გამოუტანა და იგი ბიძინა ივანიშვილს, უბრალოდ, აჩუქა.

სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ნაცვლად იმისა, რომ შეეწყვიტა ხელშეკრულება გაკოტრებულ შპს „სი ი ეფ სი (ევრო-აზიური)“-თან და მისი წილი სახელმწიფოს საკუთრებაში დაებრუნებინა, როგორც ეს ფოთის თიზის 85% წილის წინა მფლობელის ინვესტორის, რაკიას შემთხვევაში მოხდა, სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ შპს „სი ი ეფ სი (ევრო-აზიური)“-ს ინვესტიციების განხორციელების (საპრივატიზებო პირობების შესრულების) ვადა 4 წლით გადაუწია, რითიც მნიშვნელოვანი ზიანი მიაღწია ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტს.

ხელისუფლების მხრიდან, კანონის გვერდის ავლით, შპს „სი ი ეფ სი (ევრო-აზიური)“-თან თანამშრომლობის გაგრძელება ამ კომპანიის საერთაშორისო სკანდალებისა და გაკოტრებულად გამოცხადების ფონზე კიდევ უფრო აფსურდული და ამორალურია თუ გავითვალისწინებთ მსგავს შემთხვევებში ევროპის სახელმწიფოების მიდგომებს. მაგალითად, როგორც ჩვენს წინა კვლევაში გიამბოთ, Portugal Press-ის 2018 წლის 13 აპრილის მასალის მიხედვით, ნავთობისა და გაზის “პორტუგალიურ გიგანტ Partex-ში წილის გაყიდვის ხელშეკრულება, CEFC-ისთან რომელიც 500 მილიონი ევროს ღირებულების იყო, დღის წესრიგიდან მოიხსნა, მიუხედავად პრაქტიკულად დასრულებული მოლაპარაკებებისა. პორტუგალიური კომპანიის პრესრელიზში კი ეწერა, რომ ხელშეკრულების ჩაშლა გამოწვეულია “ბოლო პერიოდში საჯაროდ ცნობილი გარემოებებით”, რომლის “სრულყოფილად ახსნა ჩინურმა მხარემ ვერ შეძლო”. შესაბამისად დაასკვნეს, რომ “აღარ არსებობდა პირობები მოლაპარაკებების გასაგრძელებლად.”¹²

კვლევაში მითითებული ყველა დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ აქ: <https://drive.google.com/drive/folders/1OgBRM6gP1OtUjCkrCNb2gcc3Ei029kNx?usp=sharing>

„სამოქალაქო იდეას“ პირველი კვლევა ყოფილი პრემიერის ივანიშვილისა და ბატონი ჩხარტიშვილის კავშირებზე ჩინურ კომპანიასთან იხილეთ აქ:

“ჩინეთის “დახურულ ბიზნეს ჩემპიონატში” ჩხარტიშვილი ლიდერობს...” <https://bit.ly/3iHenZk>

¹² იხილეთ სამოქალაქო იდეას კვლევა “ჩინეთის “დახურულ ბიზნეს ჩემპიონატში” ჩხარტიშვილი ლიდერობს...” <https://bit.ly/3iHenZk>



ჩვენს
შესახებ

civicidea.ge



ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, განცხადებები და კომენტარები, ეკუთვნის მხოლოდ მათ და არ ასახავს ფონდების პოზიციას. შესაბამისად, არც ერთი დამხმარე ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი ინფორმაციული მასალის შინაარსზე.

ანგარიშზე
პასუხისმგებლები არიან
მარიამ უსენაშვილი,
თინათინ ხიდაშელი

<https://civicidea.ge/en/about-us/>



National Endowment
for Democracy

Supporting freedom around the world